სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, გოჩა ხოსიტაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით ყველას ჩემო თანასოფლელებო და მოწვეულო სტუმრებო! მინდა მოგახსენოთ, რომ 2022-2023 წლის ანგარიშის ჩაბარებიდან გავიდა ერთი წელი. აუცილებელია და ჩემი მოვალეობაც არის, რომ ამ მიმდინარე საარჩევნო წლის ანგარიში ჩაგაბაროთ.

მინდა მოგახსენოთ, რომ ეს წელი დატვირთული იყო და არის სხვადასხვა მიმდინარე აქტივობებით. ამ წელს, როგორც სხვა წლებში დიდი დრო დავუთმე მოსახლეობაში ჩემს ამომრჩევლებთან კომუნიკაციას. ამ შეხვედრებზე მე ჩემს ამომრჩევლებს გამოკითხვის დროს გამოკვეთილ პრობლემებსა და საჭიროებებზე ვესაუბრებოდი და იქიდან გამომდინარე, როგორც წინა წლებში, ვგეგმავდი ჩემს აქტივობას თუ საქმიანობას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წელს დასრულდა ე.წ ,,ფათალიანთ“ უბნის ინფრასტრუქტურული პროექტის რეაბილიტაცია, რამაც მოსახლეობაში დადებითი ემოცია და დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ასევე მინდა ავღნიშნო ისეთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რასაც წყლის რეაბილიტაციის პროცესი ჰქვია. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ, მთელ სოფელს ექნება 24 საათიანი წყალმომარაგება, რის შემდგომაც მოსახლეობას აღარ მოუწევს ამ საკითხის ირგვლივ შეკითხვები.

მინდა მოგახსენოთ კიდევ ერთი დიდი ინფრასტრუქტურულიპროექტის ე.წ. ,,მანიჟას“ უბნის გზის საფარის რეაბილიტაციის შესახებ. ამ პროექტის მიმდინარეობას პირადად მე და მერის წარმომადგენელი ერთად და თანმიმდევრულად ვადევნებთ თვალყურს, რისი შედეგიც არის კომპანიის მხრიდან სწორი მიდგომით, გრაფიკით და ხარისხზე ორიენტირით შესრულებული სამუშაოები.

რეაბილიტირდა 4 კილომეტრზე მეტი მონაკვეთი სანიაღვრეებითა და გვერდულებით, დანარჩენი ნაწილი ამ პროექტის არის გარდამავალი და მომდევნო წელში დასრულდება.

მინდა ავღნიშნო კიდევ ერთი სასიკეთო და საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ (სოფლის განათების საკითხი), რომელიც წარმატებით ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.

ჩემს სოფელში მოთხოვნილი მაქვს დამატებითი ნაგვის ურნები, რათა სრულად მოვიცვათ მთელი სოფლის ტერიტორია, რომ აღმოიფხვრას სოფლის დარჩენილ ნაწილში ნაგვის პრობლემა.

მოსახლეობის მოთხოვნით მრავალ ქუჩაზე დამონტაჟდა „მწოლიარე პოლიციელები“, რათა ახალ დაგებულ გზაზე უსაფრთხოდ იაროს ჩვენმა მოსახლეობამ.

მინდა მოგახსენოთ ისიც, რომ ჩემი ჩართულობით და მერიის თანადგომით სოფელში ასფალტის გარეშე დარჩენილ იმ ნაწილში, სადაც საჭიროებდა, მოიხრეშა შიდა საუბნო გზები და ჩიხები.

მოწონებული მაქვს ე.წ „ზიგმოს“, ე.წ. „კერამიკის“ უბნების რეაბილიტაცია, ასევე ფეხბურთის სტადიონების რეაბილიტაცია, რომლის შესრულებასაც მომავალი წლისათვის ვგეგმავთ.

აუცილებლად უნდა შევეხო ჩემს ჩართულობას, როგორც სკოლის სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე ბოდბისხევის N9 და N10 საბავშვო ბაღების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესრულებაში. N9 საბავშვო ბაღს მოთხოვნილი ჰქონდა საცურაო ატრაქციონი, ხოლო N10 საბავშვო ბაღს-საქანელები. როგორც წინა წელს, ამ წელსაც ჩემი თხოვნითა და ჩართულობით, მუნიციპალიტეტის თანადგომით მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რამაც საბავშვო ბაღებში ბავშვებისა და აღმზრდელების დიდი სიხარული გამოიწვია.

მინდა მოგახსენოთ, რომ უყურადღებოდ არა ვტოვებ მოსახლეობის მხრიდან გამოხატულ პრობლემურ საკითხებს, ჩართული ვარ როგორც ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, ასევე - ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობაში, ვესწრები თითქმის ყველა საკრებულოს სხდომას.

გოჩა ხოსიტაშვილი